

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
საგანმანათლებლო პროგრამა**

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება – ქართული ენა და ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია არაქართულენოვან სკოლებში.

პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) რაოდენობის მითითებით – 4 კრედიტი (60 საკონტაქტო, 40 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ: 100 სთ.).

საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ზოგადი განმარტება.

საკონტაქტო საათში იგულისხმება ის დრო, რომელსაც მსმენელი უთმობს ლექციაზე, სემინარზე, კოლოკვიუმზე, პრეზენტაციაზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობაზე და სხვ. დასწრებას.

დამოუკიდებელი მუშაობის საათი გულისხმობს მსმენელის მიერ ლექციაზე მოსმენილი მასალის დამოუკიდებლად დამუშავებას იმ ძირითადი ლიტერატურის გამოყენებით, რომელიც მითითებულია სასწავლო გეგმაში თითოეულ საკითხთან დაკავშირებით. დამოუკიდებელი მუშაობის საათებში გათვალისწინებულია ის დრო, რომელსაც უთმობს მსმენელი სემინარისთვის, კოლოკვიუმისთვის, საბოლოო გამოცდისთვის და სხვ. მზადებას, პრეზენტაციის, აკადემიური პორტფოლიოს, საშინაო დავალების, საცდელი გაკვეთილის და სხვ. მომზადებას.

პროგრამის ხანგრძლივობა – 13 დღე (სამიზნე ჯგუფის სურვილის მიხედვით: 1) ყოველ შაბათ-კვირას 7 კვირის განმავლობაში; 2) 13 დღე ინტენსიური მუშაობა რაიონებიდან ჩამოსული მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელების ადგილი – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3, III კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11, V კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. № 36.

პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა – ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა: 15. ვინაიდან ინტენსიური სწავლების შემთხვევაში პროგრამის ასათვისებლად საკმარისია 13 დღე, ყოველ მეთოთხმეტე დღეს შესაძლებელია მივიღოთ მსმენელთა ახალი ნაკადი.

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების რაოდენობა – 4 მასწავლებელი.

პროგრამის ავტორი / ხელმძღვანელი (ფიზიკური ან/და იურიდიული პირი) – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მერი ნიკოლაიშვილი.

პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი – პროგრამაში ჩართვის წინაპირობა არის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დიპლომი. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული დიპლომის (ანუ განათლების) მქონე პირები, რომლებიც უკვე არიან ან მომავალში აპირებენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად (საბაზო და საშუალო საფეხური) მუშაობას.

პროგრამის ღირებულება – 160 ლარი.

პროგრამის შექმნავეების თარიღი – 2009 წლის იანვარი (პროგრამა დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 თებერვლის # 181 დადგენილებით) (იხ. დანართი II).

პროგრამის მოდიფიცირების თარიღი – 2009 წლის მარტი, თსუ რექტორის 2009 წლის 4 მარტის # 22/01-01 ბრძანების შესაბამისად (იხ. დანართი II).

პროგრამის შინაარსი

პროგრამის მიზნები და ამოცანები – პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებს გააცნოს ქართული ენის (მეორე ენის) სწავლების თანამედროვე მეთოდები. კერძოდ, ევროპაში აპრობირებული და წარმატებული მეთოდი მეორე ენის სწავლად სწავლების, ენობრივი კომპეტენციების დონეების სკალების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საქმეში ბევრია გასაკეთებელი. სწორედ აღნიშნული პროგრამა გულისხმობს მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას ამ კუთხით, რათა მათ სასწავლო პროცესი გაიაზრონ ახლებურად და წარმართონ ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული ჩარჩოს შესაბამისად.

პროგრამის ამოცანებია:

- ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლად მასწავლებლებისათვის ახალი მეთოდების გაცნობა, გაანალიზება და პრაქტიკაში მათი გამოყენების სტანდარტების განსაზღვრა.
- ქართულის, როგორც მეორე ენის, შესწავლისას ენის ფლობის დონეების განსაზღვრა. მუშაობა ამ მიმართულებით, რათა მივაღწიოთ სტანდარტებს.
- ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პრაქტიკული ხერხებისა და სტრატეგიების გაცნობა.
- ენის სწავლებისას შედეგზე ორიენტირება, რაც მიიღწევა ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრული დონეების გათვალისწინებით.
- შეფასების ახლებური სისტემების გაცნობა და მისი მნიშვნელობა მეთოდური თვალსაზრისით.

პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები – პროგრამის გავლის შემდეგ მასწავლებლებს:

- ეცოდინებათ ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების უახლესი მეთოდები.
- მასწავლებლები იხელმძღვანელებენ ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისას ენის ფლობის დონეების საერთო ევროპული ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვრული სისტემით.
- ისინი შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, რაც განაპირობებს მაღალი დონის გაკვეთილების ჩატარებას.
- შეძენილი ცოდნის საფუძველზე ისინი ჩამოაყალიბებენ საკუთარ მოსაზრებებს და ქართული ენის გრამატიკის რთულ სტრუქტურებს მარტივად და გასაგებად მიაწოდებენ მსმენელებს.
- შეძლებენ სხვადასხვა მოსაზრების გააზრებას და სწორ რეაგირებას; კონკრეტულ სიტუაციაში საგანმანათლებლო პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტას.
- პროგრამის გავლის შემდეგ მასწავლებლები ადვილად შეადგენენ მასალის შესაბამისად საჭირო სავარჯიშოებს, საკომუნიკაციო ტექსტებსა და ტესტებს, რაც საინტერესოს გახდის მათ გაკვეთილებს.
- პროგრამის გავლის შემდეგ მასწავლებლებს ეცოდინებათ შეფასების ახლებური სისტემები და ამ სისტემების მნიშვნელობა მეთოდური თვალსაზრისით.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი – პროგრამა მოიცავს სამ ძირითად თემას:

- ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდოლოგია (31 საკონტაქტო + 20 დამოუკიდებელი მუშაობის საათი = 51 საათი);
- კომუნიკაციური უნარების სწავლება (21 საკონტაქტო + 14 დამოუკიდებელი მუშაობის საათი = 35 საათი);
- საცდელი გაკვეთილების დაგეგმვა, ჩატარება და მენეჯმენტი (8 საკონტაქტო + 6 დამოუკიდებელი სამუშაო საათი = 14 საათი).

სწავლების მეთოდოლოგია: ენათა საერთო ევროპული ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვრული სწავლებისა და შეფასების მეთოდი.

სწავლების მეთოდოლოგია: პროგრამის მსვლელობისას გამოყენებული იქნება სწავლების პროცესის აქტივიზაციის ხერხები და მეთოდები: ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი, დისკუსია), წიგნზე მუშაობის მეთოდი (დამოუკიდებელი და ახსნითი), პრაქტიკულ-ვარჯიშობითი (ე. წ. პრაქტიკული სავარჯიშოები), სწავლების დიდაქტიკური პრინციპები (მაგალითად, თვალსაჩინოების, ინდივიდუალური მიდგომის, სისტემატურობის და თანამიმდევრობის პრინციპები და სხვ.). ჩატარდება ინდივიდუალური კონსულტაციები. თითოეული მსმენელი მოამზადებს აკადემიურ პორტფოლიოს.

პროგრამის შინაარსი, ძირითადი თემები და საკითხები, მათი მოცულობა და დროში განაწილება მოცემულია სასწავლო გეგმაში.

სასწავლო გეგმა

თემები	საკითხები	ლიტერატურა	საკონტ. საათები
მეთოდოლოგია (31 სთ.), საცდელი გაკვეთილი (2 სთ.)			33 საათი
1	შესავალი ლექცია: კურსის აღწერა; პროგრამის მიზნები, ამოცანები და შედეგები. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია არაქართულენოვან სკოლებში. მეორე ენის სწავლების ფსიქოლინგვისტური საფუძვლები. (3 სთ. ლექცია/1 სთ. დისკუსია). ტრენერი: მ. ნიკოლაიშვილი (ლექცია).	ენათა ფლოზის ზოგადევროპული კომპეტენციები. გვ. 134-155, 155-164.	4 საათი
2	ზოგადად: მეორე ენის სწავლებისას კომუნიკაციური კომპეტენციის პრონციპი, სწრაფ შედეგზე ორიენტირებული. უმოკლესი გზა უცხო ენაზე ურთიერთობის, რაც არის სტიმულის მიმცემი ენის შემსწავლელთათვის. ე.წ. "სასაუბრო მეთოდი", მეთოდურ-დიდაქტიკური ასპექტები. კარგად გააზრებული სიტუაციების შერჩევა, ტექსტებისა და დიალოგების შედგენა. (2 სთ. ლექცია/2 სთ. სემინარი). ტრენერები: მ. ნიკოლაიშვილი (ლექცია), თ. ინჯია (სემინარი).	ენათა ფლოზის ზოგადევროპული კომპეტენციები. გვ. 12-29.	4 საათი
3	მასწავლებელთა ცოდნის ამადლება: ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხების წარმოჩინება სახელთა ბრუნებაში, ტერმინოლოგიის საკითხები. (2 სთ. ლექცია/2 სთ. სემინარი/1 სთ. პრეზენტაცია). ტრენერები: თ. ინჯია (ლექცია), ი. კიკნაძე (სემინარი / პრეზენტაცია).	აკ. შანიძე, თხზულებანი III, 1980 წ., გვ. 34-162. კრებული, სახელთა ბრუნების ისტორია. (სტატიები შერჩევით).	5 საათი
4	ქართული ზმნის კატეგორიებთან დაკავშირებული სადავო საკითხების	აკ. შანიძე, თხზულებანი III,	5 საათი

	დეტალური გაანალიზება- დამუშავება. ასახსნელი მასალის გამარტივება, დანაწევრება. არსებული სახელმძღვანელოების გაანალიზება. (2 სთ. ლექცია/2 სთ. სემინარი/1 სთ. პრეზენტაცია). ტრენერები: მ. ნიკოლაიშვილი (ლექცია), თ. ინჯია (სემინარი / პრეზენტაცია).	1980 წ., გვ. 162-588. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ. 2001. დასკვნები. მ. ნიკოლაიშვილი "Грузинский язык", 1999.	
5	ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემის გაცნობა- ანალიზი. ქართული ენის მასალისა და გრამატიკული სისტემების მისადაგება ენის ფლობის A ₁ და A ₂ დონეებთან. შესაბამისი მასალის შეგროვება-დამუშავება (ამ საკითხებთან დაკავშირებით რეფერატების მომზადება). (2 სთ. ლექცია/2 სთ. სემინარი/1 სთ. კოლოკვიუმი). ტრენერები: რ. ქურდაძე (ლექცია), მ. ნიკოლაიშვილი (სემინარი / კოლოკვიუმი).	ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები. გვ. 31-35. ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა, A ₁ , A ₂ , B ₁ , B ₂ . გვ. 12-18, 225- 226.	5 საათი
6	ქართული ენის მასალისა და გრამატიკული სისტემების მისადა- გება ენის ფლობის B ₁ და B ₂ დონეებთან. შესაბამისი მასალის შეგროვება-დამუშავება (ამ საკითხებ- თან დაკავშირებით რეფერატების მომზადება). საცდელი გაკვეთილების მიზნები, დაგეგმვა, მენეჯმენტი, სხვადასხვა აქტივობები, გაკვეთილის კომპონენტების თანამიმდევრობა, პრეზენტაცია. (2 სთ. ლექცია/2 სთ. სემინარი/1 სთ. პრეზენტაცია). ტრენერი: რ. ქურდაძე.	ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა, A ₁ , A ₂ , B ₁ , B ₂ . გვ. 165-218, 226-240.	5 საათი
7	ქართული ენის მასალისა და გრამატიკული სისტემების მისადაგება ენის ფლობის C ₁ და C ₂ დონეებთან. საერთოევროპული ენობრივი კომპეტენციების საილუსტრაციო სკალები. ამ საკითხებთან დაკავშირებით	ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა, A ₁ , A ₂ , B ₁ , B ₂ . გვ. 336-407. ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები.	5 საათი

	რეფერატების მომზადება. (2 სთ. ლექცია/1 სთ. სემინარი/ 2 სთ. საცდელი გაკვეთილების ჩატარება). ტრენერები: რ. ქურდაძე (ლექცია), ი. კიკნაძე (სემინარი), თ. ინჯია (საცდელი გაკვეთილი).	მაგალითების განხილვა, თბ. 2008.	
კომუნიკაციური უნარები (21 სთ.), საცდელი გაკვეთილი (6 სთ.)			27 საათი
8	მოსმენისა და გაგების უნარ-ჩვევების განვითარება. მოსმენის სტრატეგიების განვითარება. ზეპირმეტყველების უნარჩვევების განვითარება (რეპროდუცირება და პროდუცირება). აუდიო დისკების გამოყენება. (2 სთ. ლექცია/2 სთ. სემინარი/კოლოკვიუმი 1 სთ.). ტრენერები: თ. ინჯია (ლექცია / სემინარი), ი. კიკნაძე (კოლოკვიუმი).	ქართული ენა მეთოდოლოგიური კრებული არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგებისათვის. გვ. 51-124. მ. ნიკოლაიშვილი. "Грузинский язык", 1999, II-III თავები, I აუდიო დისკი.	5 საათი
9	კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება (დეკოდირება და გაგება). წერის უნარ-ჩვევების განვითარება. ხერხები, მეთოდები, სტრატეგიები. სამი ეტაპის გამოყოფა. შეცდომების გაანალიზება. (2 სთ. ლექცია/2 სთ. სემინარი) 2 სთ. საცდელი გაკვეთილების ჩატარება. ტრენერები: თ. ინჯია (ლექცია), ი. კიკნაძე (სემინარი / საცდელი გაკვეთილი).	ქართული ენა მეთოდოლოგიური კრებული არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგებისათვის. გვ. 125-208; მ. ნიკოლაიშვილი. "Грузинский язык", 1999, I თავი, I აუდიო დისკი.	6 საათი
10	პრაქტიკული გრამატიკის კურსის გამეორება; მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებზე ყურადღების გამახვილება. დისკუსიებისა და დებატების მოწყობა. (2 სთ. ლექცია/2 სთ. სემინარი).	დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბილისი, 2008.	6 საათი

	2 სთ. საცდელი გაკვეთილების ჩატარება. ტრენერები: თ. ინჯია (ლექცია), ი. კიკნაძე (სემინარი), რ. ქურდაძე (საცდელი გაკვეთილი).		
11	ლექსიკის სწავლების თეორიული ასპექტები, ლექსიკოლოგია, სიტყვის ანალიზი, სიტყვათწარმოება. (1 სთ. ლექცია/1 სთ. სემინარი). 2 სთ. საცდელი გაკვეთილების ჩატარება. ტრენერები: ი. კიკნაძე (ლექცია / სემინარი), მ. ნიკოლაიშვილი (საცდელი გაკვეთილი).	ქართული ენა. მეთოდოლოგიური კრებული არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგებისათვის. გვ. 209-258.	4 საათი
12	შეფასების თანამედროვე სისტემები. შეფასების ტიპები. მოსწავლეთა გამხნევება-სტიმულირება. (2 სთ. ლექცია/1 სთ. სემინარი/ 1 სთ. პრეზენტაცია). ტრენერები: მ. ნიკოლაიშვილი (ლექცია), რ. ქურდაძე (სემინარი / პრეზენტაცია).	ქართული ენა. მეთოდოლოგიური კრებული არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგებისათვის. გვ. 321-335. ენათა ფლობის ზოგადევეროპული კომპეტენციები. გვ. 171-190.	4 საათი
13	შემაჯამებელი გამოცდა – 2 სთ. ყველა ტრენერი.		2 სთ.
სულ:	60 სთ. საკონტაქტო + 40 სთ. დამოუკიდებელი მუშაობა. სულ = 100 საათი		

ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა:

1. ენათა ფლობის ზოგადევეროპული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება;
2. აკაკი შანიძე, თხზულებანი III, 1980 წ.;
3. კრებული, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1956 წ. (სტატიები შერჩევით);
4. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ. 2001;
5. მ. ნიკოლაიშვილი, "Трузинский язык", 1999. სამი აუდიო დისკი;
6. ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა, A1, A2, B1, B2;
7. ენათა ფლობის ზოგადევეროპული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება, მაგალითების განხილვა, თბ. 2008;
8. ქართული ენა, მეთოდოლოგიური კრებული არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგებისათვის;
9. დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბილისი, 2008.

ტრენინგის ჩატარების გრაფიკი

დღე	საკითხი	საკონტაქტო საათები	ტრენერი/ტრენერები
I	შესავალი ლექცია: კურსის აღწერა; პროგრამის მიზნები, ამოცანები და შედეგები. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია არა-ქართულენოვან სკოლებში. მეორე ენის სწავლების ფსიქოლინგვისტური საფუძვლები.	3 სთ. ლექცია 1 სთ. დისკუსია / 2 სთ. დამოუკ.	მ. ნიკოლაიშვილი.
II	ზოგადად: მეორე ენის სწავლებისას კომუნიკაციური კომპეტენციის პრონციპი, სწრაფ შედეგზე ორიენტირებული. უმოკლესი გზა უცხო ენაზე ურთიერთობის, რაც არის სტიმულის მიმცემი ენის შემსწავლელთათვის. ე.წ. "სასაუბრო მეთოდი", მეთოდურ-დიდაქტიკური ასპექტები. კარგად გააზრებული სიტუაციების შერჩევა, ტექსტებისა და დიალოგების შედგენა.	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ. დამოუკ.	მ. ნიკოლაიშვილი (ლექცია), თ. ინჯია (სემინარი).
III	მასწავლებელთა ცოდნის ამაღლება: ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხების წარმოჩინება სახელთა ბრუნებაში, ტერმინოლოგიის საკითხები.	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 1 სთ. პრეზენტაცია 3 სთ. დამოუკ.	თ. ინჯია (ლექცია), ი. კიკნაძე (სემინარი / პრეზენტაცია).
IV	ქართული ზმნის კატეგორიებთან დაკავშირებული სადავო საკითხების დეტალური გაანალიზება-დამუშავება. ასახსნელი მასალის გამარტივება, დანაწევრება. არსებული სახელმძღვა-ნელოების გაანალიზება.	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 1 სთ. პრეზენტაცია 3 სთ. დამოუკ.	მ. ნიკოლაიშვილი (ლექცია), თ. ინჯია(სემინარი / პრეზენტაცია).
V	ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემის გაცნობა-ანალიზი. ქართული ენის მასალისა და გრამატიკული სისტემების მისადაგება ენის ფლობის A ₁ და A ₂ დონეებთან. შესაბამისი მასალის შეგროვება-დამუშავება (ამ საკითხებთან დაკავშირებით რეფერატების	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 1 სთ. კოლოკვიუმი 3 სთ. დამოუკ.	რ. ქურდაძე (ლექცია), მ. ნიკოლაიშვილი (სემინარი / პრეზენტაცია).

	მომზადება).		
VI	ქართული ენის მასალისა და გრამატიკული სისტემების მისადაგება ენის ფლობის B ₁ და B ₂ დონეებთან. შესაბამისი მასალის შეგროვება-დამუშავება (ამ საკითხებ-თან დაკავშირებით რეფერატების მომზადება). საცდელი გაკვეთილების მიზნები, დაგეგმვა, მენეჯმენტი, სხვადასხვა აქტივობები, გაკვეთილის კომპონენტების თანამიმდევრობა, პრეზენტაცია.	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 1 სთ. პრეზენტაცია 3 სთ. დამოუკ.	რ. ქურდაძე.
VII	ქართული ენის მასალისა და გრამატიკული სისტემების მისადაგება ენის ფლობის C ₁ და C ₂ დონეებთან. საერთოევროპული ენობრივი კომპეტენციების საილუსტრაციო სკალები. ამ საკითხებთან დაკავშირებით რეფერატების მომზადება.	2 სთ. ლექცია 1 სთ. სემინარი 2 სთ. საცდელი გაკვეთილების ჩატარება 4 სთ. დამოუკ.	რ. ქურდაძე (ლექცია), ი. კიკნაძე (სემინარი), თ. ინჯია (საცდელი გაკვეთილი).
VIII	მოსმენისა და გაგების უნარ-ჩვევების განვითარება. მოსმენის სტრატეგიების განვითარება. ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება (რეპროდუცირება და პროდუცირება). აუდიო დისკების გამოყენება.	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 1 სთ. კოლოკვიუმი 4 სთ. დამოუკ.	თ. ინჯია (ლექცია / სემინარი), ი. კიკნაძე (კოლოკვიუმი).
IX	კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება (დეკოდირება და გაგება). წერის უნარ-ჩვევების განვითარება. ხერხები, მეთოდები, სტრატეგიები. სამი ეტაპის გამოყოფა. შეცდომების გაანალიზება.	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ. საცდელი გაკვეთილი 4 სთ. დამოუკ.	თ. ინჯია (ლექცია), ი. კიკნაძე (სემინარი / საცდელი გაკვეთილი).
X	პრაქტიკული გრამატიკის კურსის გამეორება; მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებზე ყურადღების გამახვილება. დისკუსიებისა და დებატების მოწყობა.	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ. საცდელი გაკვეთილი 4 სთ. დამოუკ.	თ. ინჯია (ლექცია), ი. კიკნაძე (სემინარი), რ. ქურდაძე (საცდელი გაკვეთილი).
XI	ლექსიკის სწავლების თეორიული ასპექტები, ლექსიკოლოგია, სიტყვის ანალიზი, სიტყვათწარმოება.	1 სთ. ლექცია 1 სთ. სემინარი 2 სთ. საცდელი გაკვეთილები 4 სთ. დამოუკ.	ი. კიკნაძე (ლექცია / სემინარი), მ. ნიკოლაიშვილი (საცდელი გაკვეთილი).

XII	შეფასების თანამედროვე სისტემები. შეფასების ტიპები. მოსწავლეთა გამხსნევება-სტიმულირება.	1 სთ. ლექცია 1 სთ. სემინარი 2 სთ. პრეზენტაცია 4 სთ. დამოუკ.	მ. ნიკოლაიშვილი (ლექცია), რ. ქურდაძე (სემინარი / პრეზენტაცია).
XIII	შემაჯამებელი გამოცდა – 2 სთ.	2 სთ.	ყველა ტრენერი.

სულ: 60 საკონტაქტო + 40 დამოუკიდებელი მუშაობის სთ. = 100 სთ. (4 კრედიტი).

ხარისხის უზრუნველყოფა

პროგრამის რაციონალური საფუძვლები – განათლების რეფორმის ფარგლებში შეიცვალა ზოგადად სკოლის და, კერძოდ, არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების მიმართ არსებული მოთხოვნები. კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებაზე აქცენტის გადატანა მასწავლებლისგან მოითხოვს შესაბამის მეთოდურ ცოდნას. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია გააცნოს მასწავლებლებს არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკა და კომუნიკაციური უნარების სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემები. პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის პროფესურას კიდევ უფრო გააღრმავოს კონტაქტები სკოლასთან, პედაგოგებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლება გამოიწვევს სკოლაში სწავლების ხარისხის ზრდას, მოსწავლის – მომავალი სტუდენტის – ინტელექტუალური დონის ამაღლებას, რაც დადებითად იმოქმედებს უნივერსიტეტში სწავლების პროცესზეც. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელება დამატებითი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენს.

არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები: მ. ნიკოლაიშვილი, რ. ქურდაძე, ი. კიკნაძე და სდასუს პროფესორი თ. ინჯია. ისინი კარგად იცნობენ სასკოლო რეფორმის მოთხოვნებს და სკოლაში სწავლების თავისებურებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის ოთხივე მონაწილე წლების განმავლობაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ისე სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას თბილისის სხვადასხვა სკოლაში. 2008 წელს ასოც. პროფ. რ. ქურდაძე ერთი წლით მივლინებული იყო ამერიკაში ლექციების წასაკითხად ქართულ ენაში.

მ. ნიკოლაიშვილი 2002 წელს ხელმძღვანელობდა სახელმწიფო პროგრამას „ვილაპარაკოთ ქართულად“ საქართველოში მცხოვრებ არაქართველთათვის, რომელიც ჩატარდა მისივე სახელმძღვანელოს „Грузинский язык“ მიხედვით და რომელსაც სამი თვის განმავლობაში 1000 მსმენელი ჰყავდა. პროგრამა წარმატებით განხორციელდა. მასში მონაწილეობდნენ აგრეთვე ი. კიკნაძე და თ. ინჯია. მ. ნიკოლაიშვილის ზემოთ აღნიშნული სახელმძღვანელო გამოიცა ექვს ენაზე. ამჟამად მზადდება ესპანური ვარიანტი.

მონაწილეთა შეფასების სისტემა – მონაწილეთა შეფასებისას გამოიყენება შეფასების 100 ქულიანი, მრავალკომპონენტური სისტემა:

დასწრება – 5%

სასემინარო მუშაობა – 20% (რაც გულისხმობს შემდეგს: ა) თეორიული მასალის გადმოცემა–პრეზენტაციას და აკადემიური ჩანაწერების პორტფოლიოს – 10%; ბ) პრაქტიკული სავარჯიშოების, ტექსტებისა და ტესტების მომზადებას – 10%).

საშინაო დავალების პრეზენტაცია – 5%

შუალედური შეფასება (2 კოლოკვიუმი) – 20% (თითოეული კოლოკვიუმი ფასდება 10 ქულით).

გაკვეთილის მომზადება, ჩატარება და განხილვა – 20%
საბოლოო გამოცდა – 30%
სულ – 100 %

1. სასემინარო მუშაობა გულისხმობს შემდეგს:

ა) ლექციაზე მიწოდებული თეორიული მასალის გადმოცემა-პრეზენტაციას. მსმენელს ევალება აკადემიური პორტფოლიოს მომზადება დასახელებული ლიტერატურის მიხედვით. პორტფოლიო გულისხმობს შემდეგს: მასწავლებელს მოეთხოვება თითოეული თემის გავლის შემდეგ ორგვერდიანი აკადემიური ჩანაწერის შესრულება და ტრენერისთვის გადაცემა. ტრენერი კომენტარებს გაუკეთებს აკადემიურ ჩანაწერებს და დაუბრუნებს მასწავლებელს. აკადემიური ჩანაწერების ერთობლიობა შეადგენს აკადემიურ პორტფოლიოს. სულ – მაქსიმუმ 10 ქულა.

ბ) პრაქტიკული მუშაობა გულისხმობს მასალის შესაბამისად პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებას, ტექსტებისა და ტესტების მომზადებას. მსმენელებს მათი შესრულება მოეთხოვებათ თითქმის ყოველი მეცადინეობისათვის (კერძოდ, გამოკითხვის ეს ფორმა მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 თემის ფარგლებშია გათვალისწინებული). სულ – მაქსიმუმ 10 ქულა.

2. მე-3, მე-4, მე-6, მე-12 თემების გავლის დროს მსმენელებს მოეთხოვებათ საშინაო დავალების შესრულება, რაც გულისხმობს ქართული ენის სათანადო მასალის მოპოვებას საერთო ევროპული ენობრივი დონეების შესაბამისად. შესრულებული საშინაო დავალების, მოპოვებული მასალის პრეზენტაცია ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

3. შუალედური შეფასების (კოლოკვიუმის) დროს მსმენელს მოეთხოვება განვლილი მასალის ცოდნა და მისი წერილობით გადმოცემა. სულ – მაქსიმუმ 20 ქულა (თითოეული კოლოკვიუმი ფასდება 10 ქულით).

4. საცდელი გაკვეთილების მომზადება, ჩატარება. სულ – მაქსიმუმ 20 ქულა.

5. საბოლოო შეფასება მოხდება პროგრამის დასრულებისას ტესტური გამოკითხვის ფორმატით. ტესტში შეტანილი იქნება მთელი ის მასალა, რომელიც კურსის განმავლობაში იქნა მოსმენილი და დამუშავებული. საბოლოო გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30.

6. კოლოკვიუმებისა და საცდელი გაკვეთილების ჩატარების ვადები წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში.

პროგრამის დასრულებისთვის აუცილებელია საერთო შეფასების 61% დაგროვება.

სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე პირობები – არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, სადაც ინახება ყველა ის სახელმძღვანელო, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით.

პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ აგრეთვე თსუ კომპიუტერული რესურს-ცენტრებით, UTP საკაბელო ინტერნეტ-კავშირით.

ლექციებზე გამოყენებული იქნება თვალსაჩინოება – სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები (Power Point), აუდიო მასალა.

პროგრამის მონაწილეებს სახელმძღვანელოდ დაურიგდებათ ტრენერის მიერ მომზადებული მასალების ასლები.

პროგრამის მსმენელებს სისტემატურად ჩაუტარდებათ კონსულტაციები, სადაც მიიღებენ კვალიფიციურ პასუხს მათ მიერ დასმულ კითხვებზე, რომლებიც შეეხება როგორც პროფესიულ ცოდნას, ისე სწავლების მეთოდიკას.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები – კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 61 ქულის დაგროვება.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი ვერ შეძლებს შესაბამისი კრედიტების დაგროვებას, მას მიეცემა არა სერტიფიკატი, არამედ აკადემიური ცნობა, რომ აღნიშნული პროგრამა, ან მისი რომელიმე მოდული მოისმინა.

პროგრამის შეფასება – პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისათვის გამოიყენება თვითშეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს შემდეგ მექანიზმებსა და პროცედურებს:

ა) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ექსპერტების მიერ) სპეციალური ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 19 სექტემბრის # 800 ბრძანების და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მოთხოვნების თანახმად და რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III). აღნიშნული ფორმისა და კრიტერიუმების გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-programs-evaluation.doc>);

ბ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის საჯარო განხილვა თსუ აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების (ანუ სკოლის მასწავლებელთა) მონაწილეობით; საჯარო განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნების, მოსაზრებების, წინადადების გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში;

გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III); აღნიშნული პროცედურის გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-program-procedure.doc>);

დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელთა გამოკითხვა პროგრამის დასრულების შემდეგ, ხოლო მსმენელების შენიშვნების გათვალისწინება პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კითხვარი დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III) და მისი გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-kitxvari.doc>);

ე) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ლექციებზე (პრაქტიკუმებზე, სემინარებზე) სხვა კოლეგების დასწრება. ლექციის (პრაქტიკუმის, სემინარის) შეფასება გათვალისწინებულია საგანგებოდ შემუშავებული ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III) და განთავსებულია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-kitxvari.doc>);

ვ) სერტიფიკატის გაცემა გათვალისწინებულია საგანგებოდ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია თსუ რექტორის 2008 წლის 19 დეკემბრის # 113/01-01 ბრძანებით „მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის დამზადების, აღრიცხვა-ანგარიშგების, შენახვისა და გაცემის წესისა და სერტიფიკატის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“; (იხ. დანართი VII).

ხარისხის უზრუნველყოფის ზემოთ მოყვანილი მექანიზმები და პროცედურები ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, თსუ წესდებას (იხ.: www.tsu.ge/docs/cesdeba.pdf, www.tsu.ge/docs/cesdebashi%20cvlileba-saministro.pdf), „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“, რომელიც მომზადებულია უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ (იხ.: www.tsu.ge/qa/doc/QA_geo.pdf).

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის – ”ქართული ენა და ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია არაქართულენოვან სკოლებში” – განხორციელებაში მონაწილეობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 3 ასოცირებული პროფესორი და სდასუს 1 პროფესორი (მ. ნიკოლაიშვილი, რ. ქურდაძე, ი. კიკნაძე, თ. ინჯია).

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და წევრი ფილოლოგიის მიმართულებით.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან აკრედიტაციის მიღების შემდეგ გაფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი სამუშაო დატვირთვა (საკონტაქტო საათები) და შესაბამისი ანაზღაურება. თსუ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი VIII). მოწვეული პედაგოგების ანაზღაურების საკითხი რეგულირდება თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წლის 30 იანვრის # 12/02-01 და 2008 წლის 2 მაისის # 58/02-01 ბრძანებებით, რომლებიც ასევე მოცემულია დანართის სახით (იხ. დანართი IX).

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურაში, აღნიშნული პროგრამების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებში, რომლებიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით

(<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-program-procedure.doc>,
<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-programs-evaluation.doc>) (იხ. დანართი III).
 კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სწავლის, მუშაობის, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები – არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება თსუ III და V კორპუსებში, კერძოდ, შემდეგ სასწავლო აუდიტორიებში (შენობა–ნაგებობებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისთვის იხ. დანართი V):

მისამართი	კორპუსის #	აუდიტორიის #	ფართი
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	115	30 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	121	30 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	208	50 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	220	50 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	224	30 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	232	43 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	313	108 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	318	27 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	110	43 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	204	66 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	215	38 მ ²

არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ II კორპუსის კომპიუტერული რესურს-ცენტრით და საშუალება ექნებათ თავისუფლად გამოიყენონ ინტერნეტ-რესურსები პროფესიული განვითარების მიზნით:

მისამართი	კორპუსის #	რესურს-ცენტრში კომპიუტერების რაოდენობა
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3	თსუ II კორპუსი	40

ლექციებზე გამოყენებული იქნება სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები – პორტატული კომპიუტერი და პროექტორი.

არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ ბიბლიოთეკით, სადაც ინახება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო:

მისამართი	ბიბლიოთეკის დასახელება	წიგნადი ფონდი
უნივერსიტეტის ქ. # 11	საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა	4 291 941 წიგნი

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების სტრატეგია – 2007 წლის 19 მარტს თსუ აკადემიური საბჭოს # 14 დადგენილებით დამტკიცდა თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2007–2010 სასწავლო წლებში (იხ.:<http://www.tsu.ge/news/acadc/dad14.asp>), რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის შექმნა;
 სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება–დანერგვა;
 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება;
 თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში;
 საბიბლიოთეკო ფონდის განახლება;
 მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრული რეაბილიტაცია.

თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმის ზემოთ აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

ა) 2006–2008 წლებში, ანუ ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებიდან დღემდე შეძენილია 1 200 კომპიუტერზე მეტი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 17 ნოემბერს, თვითშეფასების კითხვარის დანართის სახით.

ბ) დღეისათვის თსუ–ს ექვს ფაკულტეტს ემსახურება 26 კომპიუტერული ლაბორატორია და რესურს–ცენტრი.

გ) თსუ–ში ფუნქციონირებს: ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკა, იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ევროპული კვლევების ინტერფაკულტატური ბიბლიოთეკა, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიბლიოთეკა, ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკა.

დ) 2006–2008 წლებში, ანუ ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებიდან დღემდე თსუ ბიბლიოთეკების წიგნად ფონდს დაემატა 755 998 სახელმძღვანელო, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 17 ნოემბერს, თვითშეფასების კითხვარის დანართის სახით.

ე) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს ელექტრონული სწავლების სისტემა Moodle: <http://moodle.science.tsu.ge>. უახლოეს მომავალში იგეგმება მსგავსი სისტემის დანერგვა თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც.

ვ) ამჟამად მიმდინარეობს თსუ-ს პირველი და მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია, რომელსაც აფინანსებს ფონდი „ქართუ“. თსუ მეორე კორპუსში ცალკეული აუდიტორიების რეაბილიტაცია და სასწავლო ინვენტარით აღჭურვა ხდება საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ. დაგეგმილია თსუ-ს მაღლივი კორპუსების ტერიტორიის კეთილმოწყობა და „ცოდნის ქალაქის“ მშენებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულია სხვადასხვა წყაროებიდან 250 მლნ. ლარის მობილიზება.

ზ) 2008 წლის 29 დეკემბერს თსუ წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა თსუ შემდეგი ადმინისტრაციული სტრუქტურები: „საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი“, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში და „აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“, რომლის მიზანია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და ამოქმედებაზე ზრუნვა, სხვადასხვა სახის სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება-დანერგვა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება და სხვ.